გაზეთის ფასი:

12 თვით	. . 10 მ.	— კ.
11 ,,	. . 9 ,,	50 ,,
10 ,,	. . 8 ,,	75 ,,
9 ,,	. . 8 ,,	— ,,
8 ,,	. . 7 ,,	25 ,,
7 ,,	. 6 ,,	50 ,,
6 ,,	. . 6 ,,	— ,,
5 ,,	. . 5 ,,	50 ,,
4 ,,	. . 4 ,,	75 ,,
3 ,,	. . 3 ,,	50 ,,
2 ,,	. . 2 ,,	75 ,,
1 ,,	. . 1 ,,	50 ,,

ივერია

№ 285 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 285

ფასი ერთ ფურცელ.
ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დრო:— 5 მ. და თიბათვის 1-ს— 5 მ.

2. ხელის მოწერის დრო:— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს— 3 მ.

3. ხელის მოწერის დრო:— 3 მ., მარტის 1-ს— 3 მ. თიბათვის 1 ს— 2 მ. და ენკენისთვის 1-ს— 2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უფთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და ინიერ-კავკასიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტლოს და ამხ.-ის განხცადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქციამ ბინა გამოიცვალა და გადავიდა უფრო მოსახერხებულ ადგილას, სახელდობრ ბარონის ქუჩაზედ, სახლი კ. ალექსი-ძეისა, კალოუნის ეკლესიის გვერდზედ, ფოსტის მახლობლად.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 10 (პონეშენტის რიცხვში).

სახალხო თეატრი

ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, 1904 წ.

ვლ. ალექს.-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქმ., შედგერისა, თარგ. ნ. ავადაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ოლ. ლეფავა ტ. სხვ.; ბ-ნნი: **ვლ. ალექს.-მესხიშვილი**, ს. სვიმონიძე, შათირიშვილი, გედევანოვი, შალიკაშვილი, ივანიძე, ჩარკვიანი, სარჯველაძე, იორდანაშვილი, წუწუნავა, მეტრეველი, ეიგიძე ტ სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია — **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

მზადდება წარმოსადგენად: «იულიოს კეისარი», «რეი ბლაზი», აზიანის ახალი პიესა «სამშობლოს ბურჯნი» და სხვ.

ამხანაგობის დირექტორ. მორგი რეჟისორი კ. მესხი.

ტფილისის ეპარქიის **საეკლესიო ნივთთა საწყობში**, რომელიც იმყოფება სიონის ტაძრის გვერდზედ, ისყიდება მრავლად: შესამოსელი, ფარჩულობა, დიბები, ხატები და ყოველნაირი საეკლესიო ნივთები ეკლესიებისათვის და კერძოდ მყიდველთათვის იაფფასად. საწყობში **შეკვეთითაც** იკერება შესაფერელი.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ მიჰმართონ ტფილისის სასნაფოს ქარხნის გაშკეობის შემდეგის ადრესით: Г. Тилисъ. Въ Управленіе Тифл. Епархсвѣчного завода.

(3—3).

ტფილისის სახალხო თეატრი.

ანტრეპრიზა სიმშვერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

სამშაბათს, 14 დეკემბერს,

პირველად ტფილისის სახალხო თეატრში მესამე გასტროლი სიმშვერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა**.

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

დუბროვსკი

ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა სუბრაგნეკოისა.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეტმანი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ოთხშაბათს, 15 დეკემბერს,

ვლ. ალექს.-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის-მიერ წარმოდგენილი იქმნება

ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქ., შიდდერისა, თარგმ. ნ. ავადაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **ვანდარინის ფეილი**», ც. კიუისა.

ბილეთები იქიდგეა.

გამგე ი. კეკლერი.

20 აპა დეკემბერს

არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება „წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ფერტიგი; ბ-ნნი ვალშუ, მესხი გ. ს., მესხიშვილი ა. ი., ბოლოვა, რჩეულიშვილი, ტომაშვილი, ჯაფარიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ბ-ნ ზაქ. ფალიაშვილის ლიტერატურობით

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული

ცეკვა.

ბილეთები ისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურთა ქარვასლა).

(5—6—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილა 9 მ:

ურ. მ. ჩიტოლავი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ბ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და კენერიულ ბიროურგიულ ვადმყოფობისა

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ. ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბეკლეშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლოლოვშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზაბარბინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოთ:

ბ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ა. ა. არდაზიანი. აზარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5 7 საათ.

ს. ტ. არავანტაკი. 11—1 ს. უკეთებს საბლში და მსურველთ მასსაკს», აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, დარიბთათვის უფასოდ; ფასი კოსმილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბეკლეშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წ.

ქართველნი მკურნალნი:

ბედევანიშვილი მიხეილ,—ყორდანოკის ქუჩა, № 16, სავუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

გაქლიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიდგოსა. № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—ეოიშუბეის ქუჩა, № 19.

ვაფაძე სპირიდონ. ბეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—ფორასმედიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პარალელურ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კირაჩხანის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი საკანაშვილისა, № 11. მიიღებს თვალთა ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდ სამშაბათისა.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღეზის 5 საათიდან 6-მდე. ოდგას ქუჩა, № 15.

ალბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან სადამოს 5 საათ., ოდგას ქუჩა, № 31.

ტფილისი, 14 დეკემბერი.

გამოვიდა «ნოგ. ვრ.»-ში ბ-ნი სალაკოვსკი და ბრძანა, განაპირა ქვეყნებს საჩოვლელი არა აქვთ-რა, ძალიან ბედნიერები არიან, არც კულტურა აკლიათ, არც განათლება და არც სხვა გვარი წარმატებანი. წინად, ვიდრე რუსეთს შემოუერთდებოდნენ, უფრო უბედურნი იყვნენ, დარიბ-დატაკნი, მტერთაგან აწიოკებულნიო. კერძოდ საქართველოზედ სალაკოვსკიმ ინება და ბრძანა. რომ საქართველო თავის ნებით შემოეერთდა რუსეთს და არც საბუთი აქვს ინანოსო. რა იყო საქართველო თავიანთ მეფეთა დროს, რიგა დამოუკიდებლობა ჰქონდაო. აუარებელი მტერი: ლეკნი, ოსმალნი, სპარსნი მოსვენებას არ აძლევდნენ, სწეწავდნენ აქეთ-იქიდან, სწიწკნიდნენ, როგორც ყვავ-ყორანი მძოვრსაო. საქართველოს მეფეებს გროში-კაპიკი არა ჰქონდათ ხაზინაში და აქეთ-იქით დაძარწოდნენ მთელის თვისის ჯალაბობით, ხან ერთს დიდებულს ესტუმრებოდნენ, ხან მეორეს; ხან ერთს ქვეშევრდომთან მივიდოდნენ ხან მეორესთან და ასე იკვებებოდნენო.

ესა ყოფილა თურმე მთლად ჩვენი წარსული. სალაკოვსკის მაინც ამის მეტი ვერა დაუნახავს-რა ჩვენს წარსულში, ვერც გმირობა პატარა ერისა, ერთი მუჭა ხალხისა, რომელიც თავ-განწირულებით ებრძოლა საქრისტიანოს აუარებელ მტერს, ვერც საკუთარი წეს-წყობილება, საკუთარი დაწესებულებანი, თავიანსუფალი ზრდა დედა-ენისა, მწერლობისა, კანონ-მდებლობისა, სათამარის და სამხედრო საქმისა, ეკლესიის ძლიერებისა და აღორძინებისა... რას იზამთ, კაცია და გუნებაო, თავში ებრაგუნებაო, სკალკოვსკი რომ უვიცი არ იყოს და სულით გახრწნილი და გათახსირებული, იმისთვისაც კარგი იქნებოდა. მაშინ იმასაც ეცოდინებოდა, რომ ერისთვის, ისე როგორც კერძო კაცისათვისაც, დიდი ღვთის-წყალობაა დამოუკიდებელი ცხოვრება და მოქმედება, რომ მტერი მაშინ კი არ არის საშიში, როცა ხელ-ფეხი გახსნილი გაქვს და შეგიძლიან თავისუფლად ებრძოლო, არამედ როცა ხელ-ფეხ შეკრული ხარ და, შენ გარეშე, შენდეს დაუკითხავად უნდა გადასწყდეს, მოემზადო თუ არა მტერთან სათამრად, შეუტეო თუ არა მტერს, შენის ქვეყნისა და ოჯახის ასაკლებად ზემოახსენებულს. სკალკოვსკისაც ეცოდინებოდა, საქართველოს წარსული არც ისეთია, რომ იმისთანა უბადრუკია ხელ-წამოსაკრავი იყოს, რომ ამ წარსულს არ შეუძლიან შეარცხვინოს და გააწითლოს ჩვენი ერი სხვა ერთა წინაშე. მარტო თითო-ოროლა დიდ-ბუნებოვანი და წამებული რაჯულისა და ქვეყნისათვის, რომელთა სახელითაც თავს იწონებს ქართველი დღესაც და სალოცავად ჰყავს გამზდარი,—მარტო იმათი სახელი, ვიმეორებთ სავმოა, რომ საქართველო და მისი წარსული სხვათა წარსულთაგან განასხვავო და არ დაადარო იმისთანა ერის წარსულს, როგორნიც არიან ნოდაელნი, მორდვა, ჩერემისი, ყალმუხნი, ჩუვაშნი და სხვანი მრავალნი, რუსეთთან შეერთებულნი და შეკავშირებულნი-

რას იზამთ! ესეა წუთი-სოფელი, რუსთაველისა არ იყოს, არავისგან მისანდობელი. ყველაფერს ბედი უნდა, ჭირველ ყოველისა ბედია მაკვირებული, თორემ რამდენი ერია ევროპასსა თუ აზიაში, რომ არც წარსულში გააჩნდა რამე და არც ახლაა მწუანე კიტრი, მაგრამ ბედი ეწია და სცხოვრობს ადამიანურის ცხოვრებითი, კაცნი არიან და ქუდიცა ჭხურავთ გაშშნდელ მეღლორეებს.

სკალკოვსკი რა გავამტკუნოთ, როცა თვით ჩვენა ვართ უვიცნი ჩვენის ქვეყნის ავკარგისა, ჩვენის წარსულისა, ჩვენის ისტორიისა და მწერლობისა. ჯერ ჩვენში უნდა იყოს სიმტკიცე, ერთობა, ცოდნა და გაგება ჩვენის მდგომარეობისა და მერე ისე მიგსთხოვოთ სხვასაც ჩვენის ვითარების სამართლიანად გაგება და გათვალისწინება.

გვაგონდება ერთი ჩვენებური, კარგის გვარის მოხელე, რომელიც ისე იყო გათახსირებული და სულით დაცემულ-გახრწნილი, რომ როცა ვინმე ძალა-უნებურად ესტუმრებოდა ხოლმე ჩვენის რედაქციიდან, საქმის გაკეთების მაგიერ ვითომდ და ისტორიულ ლექციების კითხვას დაუწყებდა ხოლმე. უამბობდა ყოველსაე აუგს ირაკლი მეფის კერძო ცხოვრებისას, ქართველთა სიღარიბისას, უთაურობისას, დაცემისას წარსულში. მაგრამ ამ მოხელეს რაოდენადმეტეპატიებოდა ასეთი საქციელი: ხანგრძლივის მოხელეობით გამოყრუებულიყო, სული და გული გამოსცლოდა და ჯვარმენდლებით ისე იყო დაბრმავებული, რომ ცხვირ-წინაც კი ვეღარასა ჭხედავდა.

სკალკოვსკი კი მწერალია, მწერალია დიდის გაზეთისა, თავისუფალი, დამოუკიდებელი. ვინ აკანონ ძალას, ისეთი რამ სწეროს, რაც გულსა და სულს უმღვრევს მთელს ერს, არა მარტო ქართველებს—ქართველობა დაბალი ღობეა,—არამედ ბევრს სხვა ერსაც. ეტყობა ჩვენს ნაცნობ მოხელესავით, ამისთვისაც რაღაც პოლიტიკანობის ეიას, უგნურ ერთგულობის მატლს გამოუცლია გულ-ღვიძლი, წაურთმევია ადამიანობა, უნარი სიყვარულისა მოძმეთა მიმართო, უნარი ქრისტეს დიდებულ მცნების შეგნებისა: რაც არ გინდოდეს შენთვის, ნუ ინდომებ სხვისათვისაცა. დაჭვიწყებია, დაუგმია სიტყვები მაცხოვრისა, იყვარებოდეთ ურთი-ერთ არს, რათა ერთობით ადვიარებდეთ, ერთი რამ გწამდეთ, ერთს საგანს ეტრფოდეთო.

დიაღ, დაჭვიწყებია, დაუგმია ყოველივე ადამიანური, ყოველივე ქრისტეანული და გადაქცეულა პირუტყვად, არა-კაცად. რას ეტყვით ამისთანა არა კაცს, თუ არ ბრძნულ ლეტ-კაცურს სიტყვას:

ნაშეისაოვის გამოგა
ულვაშები და წვერია;
რაც გინდა ლაპარაკე,
თუ კი კაცს არა რჩხვენა!...

ომის ამბები

დეკემბერი და წერილები.

—

პორტ-არტური და მისი ესკადრა. (რეიტერის საგენტოს) კორესპონდენტი შემდეგს იუწყება: პორტ-არტურიდგან ტოკიოს მოსული იაპონელი ოფიცერი ამბობს, რომ «ბერესვეტი» ვეფხის ნახევარ კუნძულიდგან 200 მეტრის მანძილზედ სდგას; ტალღის დროს წყალი სანაღმო აპარატებსა და გემის ბოლო ბანს სწვდება; ეს გემი ჩაძირულია, ზღვის ძირზედ სდგას და შუა სამოლეც დამახინჯებული აქვსო. «პოლტავა» ვეფხის ნახევარ კუნძულის ჩრდილოეთით სდგას, ისიც «ბერესვეტი»-ისავით ზღვის ძირზედ სდგას და წყალი ზედა ბანამდე სწვდება. „რეტვიზინ"-ი «პოლტავის» ჩრდილოეთით სდგას და მასზედ უფრო ცუდ ყოფაშია; მისი უკანა ბანი წყალშია ჩაძირული. «პობედა» ვეფხის ნახევარ კუნძულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით იმყოფება და ტალღის დროს უკანა ბანი წყლით ივსება; ეს გემიც ზღვის ძირზედ უნდა იდგეს. «პალლადა» «პობედის» აღმოსავლეთით სდგას, გარიყულია და ისეთსავე ყოფაშია, როგორც «ბერესვეტ»-ი.«ბაიან»-იც გარიყულია და ნაეოსადგურის შესაღლიდგან აღმოსავლეთით 400 მეტრის მანძილზედ სდგას. ოთხივე ჯავშნიანი გემი და ორი კრეისერი მეზღვაურებმა მიატოვეს (რ. ვ.).

—

«დეილ-მელ»-ის კორესპონდენტი გენ. ნოგის მთავარ-ბანაკიდგან იუწყება: ჩრდილოეთ კიკვანშანის ფორტის ქვეშ 40 ფუტის სიღრმეზედ იაპონელებმა გვირაბი გათხარეს, ფორტს შეუწყეს 7 ნაღმი, რომელიც 124 ფუთ დინამიტით იყო გატენილი და 5 დეკემბერს შუადღის შემდეგ, 2 საათსა და 15 წუთს ააფეთქეს. აფეთქების შემდეგ ქვეითთ ჯარი მაშინვე ციერიშით წავიდა. საშინელმა ხელ-ჩაბოლმა ბრძოლამ შუადღემდის გასტანა. შუადღემისას იაპონელებმა ფორტი აიღეს; რუსებმა ქალაქისკენ დაიხიეს (რ. ვ).

—

ტოკიოდგან იტყობინებიან: 6 დეკემბერს გენერალ ნოგის ჯარის მარჯვენა ფრთემ წინ წაიწია და დაიჭირა ძლიერი პოზიცია, რომელიც 203 მეტრიან გორის სამხრეთით 1000 მეტრით არის დაშორებული.

გაზეთ «პატრიოტ»-ს რედაქტორი, მილეუა პორტ-არტურსა და იქ მდგომ ესკადრის ბედის შესახებ, სხვათა შორის, სწერს: პორტ-არტურის ფლოტის განადგურებამ ზაეის ჩამოგდება და მშვიდობიანობის დამყარება ისეგ დიდის ხნით გადასდო და აღმირალი როჟესტვენსკიც დიდ საფრთხეში ჩააგდო. ვინ იცის, მიაღწევს კი როჟესტვენსკის ესკადრა ვლადივოსტოკს? ან ზღვიდგან შველას მოკლებული სტუსსელი კიდევ დიდხანს გაუძლებს გენ. ნოგის ჯარსა? ბოლოს ბ. მილეუა ამბობს: ეხლა კი შორეულ აღმოსავლეთში რუსეთი-

მა თავის ძალა დაჰკარგა და მისი გაგზავნაც შეიჩერეთ (ბ. ვ.).

—

«დღილ. ტელეგრაფ»-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ იძულებინ ფორტის შტურმის მესამე დღეს იაპონელებმა 150 რუსის ჯარის კაცი დაატყვევესო (რ. ვ.)

—

«დღილი ქრონ.»-ი სწერს: იაპონელთა ოფიციალურ მოხსენებებიდგან სჩანს, რომ პორტ-არტურის ფლოტის განადგურება ამ ნაირად მოხდა: 10 აგვისტოს მომხდარ ბრძოლის შემდეგ რუსეთის ესკადრა ისევ პორტ-არტურში დაბრუნდა. «რეტვიზანი» და «პობედა» სხვა გემებზე უფრო ძლიერ იყვნენ დაზიანებულნი. ნავთსადგურს იმ დროს იაპონელთა ყუმბარები არ უწევდა. 7 სეპტემბერს «ბაიან»-ის კაპიტანი ვირენი სამხედრო საბჭომ ფლოტის უფროსად დანიშნა. 18 სეპტემბერს ვირენმა ფლოტის ზღვაში გაყვანა სცადა, მაგრამ რადგან გასავალი და გარე ნავთსადგური ნაღმებით სავსე იყო, ამიტომ ისევ უკან დაბრუნდა. ერთი კვირის განმავლობაში ვირენმა ზღვა ნაღმებისაგან გააწმენდინა. 28 სექტემბერს იაპონელებმა მოხერხებულ პოზიციაზედ საზღვარ ზარბაზნები დადგეს და კაპიტან კორუის ხელმძღვანელობით მთელ დღეს რუსეთის ესკადრას ესროდნენ. 29 სექტემბერს ზარბაზნები ხელ მეორედ დაუშინეს. აღმირალმა ვირენმა მეზღვაურებს ბრძანება გასცა, მიწით სავსე ტომრები გემების ბანებზედ დაეწყეთო. იმავ დროს ზღვიდგან ნაღმებს იღებდნენ და გასაქცევ გზას იმზადებდნენ. იმავ საღამოს ვირენმა ყველა გემი დაათვალიერა, მერე მეზღვაურები შეჰკრიბა და გამოუცხადა რომ ზღვაში გასვლა შეუძლებელია, რადგან ზღვა ნაღმებით სავსეაო. მეორე დღეს, 30 სექტემბერს კაპიტანმა კორუიმ რუსეთის ფლოტს საშინლად დაუშინა ზარბაზანი. «პერესვეტ»-სა და «პობედა»-ს რამდენიმე ყუმბარა მოჰხვდა; ერთად ერთი დაუზიანებელი გემი «სევასტოპოლ»-ი ისეთ ადგილას დააყენეს, სადაც ყუმბარები არ ცვიოდა. ვირენი «პერესვეტ»-ზედ გადავიდა. 15 ოქტომბერს „პერესვეტ“-ის მთავარ კოშკს დიდი ყუმბარა მოხვდა. 7 ოქტომბერს «პერესვეტ»-სა, „ᲞᲝᲚᲢᲐᲕᲐ“-სა და «პობედა»-ს რამდენჯერმე მოხვდა დიდი ყუმბარები. 19 ოქტომბერს ამ გემებს ადგილიდგან დაძვრა აღარ შეეძლოთ. სავაჭრო გემები შიდა ნავთსადგურში შეათრიეს; „რეტვიზან“-ის მეზღვაურები ნაპირზედ გადაიყვანეს. თუმცა ვირენი მამაცურად იცავდა თავის ფლოტს, მაგრამ იაპონელთა მიერ 203 მტერინგ გორის აღების შედეგ რუსეთის ფლოტს ვეღარაგითარი ძალა ვერ დაიხსნდა (რ. ვ.).

—

იაპონიისა და რუსეთის ჯარი მანჯურიაში (ნ. ფ. პრ.) მარშალ ოიამასა და გენერალ კუროპატკინის ჯარის შესახებ, სხვათა შორის, სწერენ ახლა არც ოიამასა და არც კუროპატკინს სატეგ ბრძოლის დასაწყებად მაგრამ ჯარი არა ჰყავთ. კუროპატკინს ეხლა 250,000 კაცი ჰყავს, ოიამას კი, თუ გენერალ ნოგის ჯარსაც ვინაგარიშებთ, სულ ეყოლება 200,000 კაცი. 10 ოკტომბრიდგან გენ. კუროპატკინს 60,000 კაცი მიემატა. რუსეთისა და იაპონიის ჯარი მანჯურიაში მხოლოდ მაშინ გათანასწორდება, როცა იაპონელები პორტ-არტურს აიღებენ და იქ დაბანდებულ ჯარს მარშალ ოიამას გაუგზავნიან (ბ. ი.).

—

მარშალმა ოიამამ მთავერ შტაბს შეატყობინა, რომ 4 დეკემბერს ღამის 8 საათიდგან 11 საათამდე რუსებმა სამჯერ მოიტანეს იერიში იაპონელთა მოწინავე რაზმებზედ, რომელნიც სოფელ სანტაოს კუნძთან იდგნენ. რუსები უკუქცეულ იქმნენ (რ. ვ.).

—

გაზეთ «ნ. ფ. პრ.»-ეს სიტყვით გენერალმა კუროპატკინმა რუსეთის მთავრობას შეატყობინა, თებერვლამდე კალაშერება არ შემიძლიან, რადგან ჩვენი ჯარის სამ ლაშქრად გაყოფა და მათი მოწყობა მხოლოდ იმდროს დამთავრდებაო (რ. ვ.).

—

მოლაპარაკეთა ზავის ჩამოგდების შესახებ. ერთს ინგლისელ დიპლომატს «ნ. ფ. პრ.»-ეს კორესპონდენტისთვის უთქვამს: რაც კი შეეხება რუსეთსა და იაპონიას შორის ზავის ჩამოგდებას, ყველაფერი მზად არის: ოქმებიც შედგენილია და ყველა პუნქტი შემუშავებულია. თოლა გამოირკვევა, რომ მეგრძოლთ ზავის ჩამოგდება უნდათ, მაშინვე მივეშველებით და ორივე მხარეს შუამდგომლობას გაუწევთ. რუსეთი ოფიციალურად აცხადებს არავისგან შუამდგომლობას არავისგან შუამდგომლობას არ მივიღებო, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, რადგან ამგვარი განცხადებანი მხოლოდ ხალხის გასამხნევებლად იყო საჭირო. (რ. ვ.).

—

იაპონელების სამხედრო ტაქტიკა. «ბერლ. ტაგ.»-ის კორესპონდენტი სწერს: ეხლანდელი ომის დროს იაპონელებმა თავიანთის მოძრაობითა და სამხედრო საიდუმლოებათა დამალვით მთელი ქვეყანა გააკვირვეს. უწინ მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის ჯარის რაოდენობა და მოძრაობა კარგად იცონენ; ეხლა კი სულ სხვა. რუსეთის ჯარის რაოდენობა და მოძრაობა იაპონელებმა მშვენივრად იცოდნენ; იაპონელთა ჯარის რაოდენობა კი ვერც რუსემა და ვერც სხვამ გაიგო. იაპონელთა მოძრაობის დიდი ხელოვნება შემდეგ ამბიდგანაც სჩანს: იაპონიის ფლოტს მეორე თავზესაფარი კორეის ერთ-ერთ ნავთსადგურში ჰქონდათ; ეს ნავთსადგური კი არც ერთ რუქაში არ იყო აღნიშნული. უცებ იაპონიის ფლოტი სადღაც იკარგებოდა ხოლმე დაის კი არაგინ არ იცოდა, რომ იგი სწორედ ზემოხსენებულ ნავთსადგურში იდგა. ევროპიელი სახელმწიფო ამას ვერ დამაღლადა, რადგან ერთი ვინმე მაინც წამოიყრანტალებდა. იაპონელებმა კი ინ რა ქნეს. ევროპიელი სახელმწიფოები იაპონელ ოფიცრებს გულახდილად ეგებებოდნენ და ყველაფერს აჩვენებდნენ, იაპონელები კი თავიანთ საიდუმლოს დიდის ხელოვნებით მალავდნენ. (ნოვ.).

—

წვრილი ამბები. «ტაიმს»-ს გაუგია, რომ რუსეთი 1,300 მილიონ ფრანკის სესხობას აპირობსო. 800 მილ. ფრ. საფრანგეთი აძლევს, 500 მილიონს კი გერმანია; ფული გერმანიაშივე დარჩება, რადგან რუსეთმა გერმანიას ამ ფასის ზარბაზნები და სხვა სამხედრო მასალა შეუკვეთა. (ბ. ი.).

—

იგივე გაზეთი იუწყება: უკანასკნელ დროს ოუარებელ გემს კუნძულ მადაგასკარის ნავთსადგურ დიეგო-სუარეცში ნახშირი მიაქვთ. უეჭველია; ამბობს გაზეთი,—რომ რუსეთის ორივე ესკადრა სწორედ ამ ადგილს შეერთდებაო (რ. ვ.).

—

მკითხველს ეხსომება, რომ კაპიტანმა, კლადომ «ნოვ. ვრ.»-ში რუსეთის ფლოტის შესახებ რამდენიმე ფრიად საინტერესო წერილი დაბეჭდა. საზღვარ მინისტრმა გამოაცხადა, რადგან კლადომ იცარუა და ფაქტები დაამახინჯა, ამიტომ იგი 15 დღით უნდა დაპატიმრდესო. ეხლა კლადო პარიეში წავიდა, სადაც გულში მოიხდარ ამბის შესახებ ჩვენება უნდა ჩამოერთვას. ამის შესახებ «ტაიმს»-ი სწერს, რომ იქნება კომისიამ კლადოს ჩვენებას არავითარი ყურადღება არ მიაქციოს, რადგან იგი რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად ცრუ კაცად აღიარა (ნ. ვ.).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

ქართულ დრამატიულ საზოგადოებას წევრთა საგანგებო კრება, რომელიც დანიშნული იყო კვირას, 12 დეკემბერს, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო და გადაიდვა სამშაბათს, 21 დეკემბრისთვის.

*** **შემოწირულება.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარემ თავ. აღ. ივ ორბელიანმა ქართულ დრამის ამხანაგობას შესწირა 250 მანათი.

*** **ქართული ოპერა ფასიანი წარმოდგენა.** კვირას, 12 დეკემბერს, ვეტცელის თეატრში წარმოადგენენ დაკლეტულის ფასებით „ორი-ობოლი“, მეოთდრამა 5 მოქმ., თაგრმანი ავქ. ცაგარლისა. წარმოდენას ბევრი ხალხი დაესწრო. წარმოდგენამ მაინცა და მაინც ვერ ჩაიარა სრულის ანსამბლით. რამდენადაც გაბუნაცაგარლისა (ფროშარი), სვ. სვიმონიე (ეკი) ლეონა (ლუიზა), ნ. ჩარკვიანი (პეტრი), კარგები იყვნენ, იმდენად დანარჩენები სუსტები და მოუმზადებელნი იყვნენ. მეტადრე როლები სუსტად იყოდენ.

*** **გეოგრაფიული საზოგადოების წევრთა კრება.** დღეს, 14 დეკემბერს, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში, სამხედრო საბჭოს დარბაზში, ჩვეულებრივი კრება ექმნება რუსეთის საიმპერატორო საეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთ. კრებას ა. მ. დირრი მოახსენებს „კავკასიის ენათმეტყველებისა, მისის ისტორიისა და მოქმავალ მნიშვნელობის შესახებ“. კრება საზოგადოა. ყველას შეუძლიან უფასოდ დაესწროს კრებას.

*** **ბოქაულის დაჭრა.** ქალ. ახალქალაქიდგან გვატყობინებენ, რომ 12 დეკემბერს ადგილობრივ სკოლის მასწავლებელს რევოლვერით დაუჭრია ადგილობრივის ბოქაული ბ-ნი ჯავახიშვილი. დამნაშავე შეუპყრიათ. ჭრილობა საშიშო არაა თურმე.

*** **ახალი ქართული წიგნი.** მოგვიგია და საუცხოოდ დაბეჭდილი დიდის ზომის წიგნი «ზღაპრები», ქართველ ქალთა წერის გამოცემა, № 2. ამ წიგნში მოთავსებულია სულ 17 დასურათებული ზღაპარი. მათ შორის ორი ალ. ნათაძის შეკრებილია, ორი მ. დემორიასი და დანარჩენი 3. მირიანაშვილისა, ქალალდი შრიფტი შვენიერია; სურათებსაც არა უშავს რა, რაიცა შეეხება თვით ზღაპრებს, რამდენათაც ხელ და ხელ გადავაი ვალიერეთ, ურიგოები არ არიან. ფასი წიგნისა 1 მ. 30 კაპ. არ არის ძვირი. ეს ისეთი წიგნია, რომ ყოველ შეძლებულ ქართველ ოჯახს მუდამ მაგიდაზედ უნდა ედგოს, თუ მცირეოდენი სიყვარული მაინც შერჩენია თვისის მშობლისა და აღმზრდელის ერისა. იმ ზღაპრებში ამ ერის გულის ნადენია, მისი სულია შიგ ჩაქსოვილი, მისი ზნე და ხასიათი, ადათი და ჩვეულებაა გამოთქმული და გამორკვეული. ქართველთა ქალთა გუნდმა (და არა წერემ) საუცხოოა ნობათი მიართვა ამ საახალწლოდ ქართველ საზოგადოებას. ხოლო ნობათის მომმრთმეელ შესაფერი შეტევის ცემაც ეკადრება და ვალს გადახდა უნდა. იმედია, სიამოვნებით შეძიენენ ამ მშვენიერს წაგს.

*** **ახალი სომხური წიგნი.** რედაქციას მოუვიდა ახალი წიგნი სომხურს ენაზედ: «ᲞᲔᲗᲝᲛᲐ», კომედია სამს მოქმედებად, თხზულება ბ ᲡᲣᲜᲓᲣᲙᲐᲜᲪᲘᲡᲐ; წიგნი მეტად ფაქიზად არის გამოცემული, შეიცავს 123 გვერდსა და ჰღირს ათ შაურად.

*** **არჩევნება მოკალაქეთა საზოგადოების კომეტეტში.** 30 დეკემბერს დანიშნულია არჩევნები მდგომი მოქალაქეთა რწმუნებულთა, ხოლო მერმის, 7 იანვარს თვით თანამდებობის კაცთა არჩევნები იქნება.

*** **წითელის ჯვრის კავკასიის საოლქო კომეტეტის** გვთხოვს დაგბეჭდოთ შემდეგი: „წითელის ჯვრის კავკასიის საოლქო კომეტეთის კასაში რევიზიის დროს აღმოჩნდა ნაღდ ფულად 1-ლ ნოებრისათვის 214,062 მან. 8 კაპ., ნოემბრის განმავლობაში შემოვიდა 3,023 მან. 60 კაპ., ხოლო დახარჯა 1,207 მან. 48 კაპ. ამ წლის პირველ დეკემბრისათვის კასაში იყო 125,878 მან. 20 კაპ. აქედგან სარგებლიან ქაღალდებით თავნის ღირებულობით 212,000 მან., მიმდინარე ანგარიშებით—2,000 მან., სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასის წიგნაკით—149 მან. 21 კაპ. და ნაღდ ფულად კასაში იყო—1528 მან. 89 კაპ.“.

*** **სამოსწავლო კომისიის დადგენილება.** შაბათს, 11 დეკემბერს, სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას, რომელმაც დადგინა, რომ სწმობანოდ ქალაქის სასწავლებლებში მოსწავლეთ გაუმართონ შობის ხე და ტფილისის ერთ-ერთს თეატრში—საბავშო წარმოდგენა.

*** **ტფ. საქალაქო სასწავლებლო დარაბ მოწაფეთა დამხმარებელში საზოგადოებამ** დადგინა მომავალი უქმე დღეებში დარბ მოწაფეთა დაურიგონ ტანისამოსი, ფეხსაცმელი და ფულიც. ამავე საზოგადოებამ დადგინა, სტიპენდიანტთა რიცხვი შეავსოს 38 კაცამდე. საშუალებათა გასაძლიერებლად საზოგადოების გამგეობამ დადგინა, მოამზადოს წიგნები, სადაც ჩასწერენ შემომწირველთა სახელსა და გვარს და აგრედვე შემოწირულ ფულის რაოდენობას.

*** **მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა** მინისტრის რწმუნებულმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, სანამ ახალ ქუჩას გაიკვანდნენ მუშტაიდიდგან დიდუბეში გასასვლელად შეაკეთეთ და დაასუფთავეთ, აგრედვე მორწყეთ ის ქუჩა, რომელიც ეხლა გადის დიდუბეშიო.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲜᲓᲝᲒᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲘ.

II საკახეგბო კრება. [1])

როგორც იყო აგვისრულდა წევრებს დიდი ხნის სურვილი, დანიშნეს საგანგებო კრება სამ თვეს. და სწორედ გუშინ საღამოს აუარებელი ხალხი (წევრნი) მოაწყდა ბანკს. ერთ საათში ბანკის უზარმაზარი დარბაზი და მისი ვრცელი ტალანი ისე გაიჭედა ხალხით, რომ ტვინ არ იყო. ისმოდა საოცარი კიჟინა, ლანძღვა, გინება და გაცხარება. ყველა გიბრაზებია ბანკის ზარალს, ყველა გაუმწარებია პასუხის გებას, ყველას მუქარა და საყვედური იყო მმართველი ბანკის საბჭო-გამგეობის მიმართ, თხოულობდნენ ბანკის მეთაურთა და ყველა მოსამსახურეთა დაცვლას, დათხოვნას და გარეთ გამოყრას.—«გეყოთ ჩვენი მოტყუება! გეყოთ ჩვენი შეჭმა! დაიკარგეთ, ბანკის დამღუპველნო! დაიწყეთ მაღე კრება! მალე!... დროა... ყვიროდა გაბრაზებით აგზნებული ხალხი. მართლაც საოცარი სანახავი იყო ეს მშფოთარე ხალხის ზღვა! გეგონებოდა, ესესია მივარდებინან და დაგლეჯენ საბჭოს და გამგეობის წევრებიო. ესენი კი ამ დროს მიყუჩებულიყვნენ ერთ ბაწრა ოთახში და ვერც კი ბედავდნენ გარეთ გამოსვლას, ყველას სახეზედ იხატებოდა შიში და დამნაშობა; თუმცა ზოგიერთს თამამათ ეკავა თავი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ნიღაბი. ეს საღამო გამხდარიყო მათთვის განკითხვის დღეთ. ამ საღამოს ულმობელი ბრალი და საზოგადოება თხოვდენ მათ თავიანთ მოქმედების ანგარიშს. მაგრამ აქ არ ჩანდა ერთი დირექტორი, აქ არ იყვნენ საბჭოს წინანდელ წევრთა მეტი ნაწილი, ეს ქებული გმირები, რომელთა მეოხებით გაიცა შავ-ქვაზედ იმოდენა სესხი და მიეცა ბანკს 300 ათას მანეთამდე ზარალი: სად ბრძანდებოდნენ ისინი ამ დროს? ზოგი აარხეინათ იჯდა თავის თბილს სენაკში და შეექცეოდა ჩაის და გაზეთებს, ზოგიც დასრიალებდა მარხილით ნევის პროსპექტზედ და ელიმიდა ელექტროს შუქზედ ღამაზ ფერიებს. ის რას და ეძებს, თუ ამ დროს ქუთაისის ბანკი იღუპება! რას დასდევს, თუ მწარე დღე ადგიათ მის ამხანაგთ!..

ხალხი არ ცხრება, ზარზარებს ვრცელი დარბაზი; აქ მოუყრია თავი 600-ზე მეტ კაცს. ჯერ არ ხსოვს ბანკის კრებას ამოდენა ხალხი: სიდან არ მოსულანან? ფოთს, ბათუმს, ზემო და ქვემო იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, იფაზეთს და გურია-სამეგრელოს, ყველას გამოუგზავნია თავიანთი წარმომადგენელნი. ერი, ღვდელი, თავადი, ვაჭარი, გლეხი და აზნაური, ნასწავლი და უმეცარი ყველა შეუქუხავს აქ ერთ დარბაზში ერთს დარღს, ვარამს და გაჭირვებას; ყველა ქცეულა ერთ აზრათ, ერთ გრძნობათ.

— კრება! კრება! დაიწყეთ მალე! დროა! ღრიალებს გამწარებით ხალხი, მაგრამ არ ჩქარობენ ბეტონები კრების დწყებას.

— რა მიზეზია რომ კრებას არ იწყებთ? დაიწყეთ მალე! დაიწყეთ!.. ღრიალებს გაცხარებით ვიღაც გძელ-წვერა.

— ჯერ არ გახლავთ კანონიერი რიცხვი: უნდა იყოს, ბანკის წესდების ძალით ყველა წევრთა მესამედი მაინც, ე. ი. არა ნაკლებ 530-ისა, აქ კი მხოლოდ 380 კაცია, პასუხობენ დინჯათ.

— ეგ შეუძლებელია! ეგ სიცრუეა! აქ 700 კაცზედ მეტი ვართ! აქ 800 ვართ, რვაასი! დგვთვალეთ! დაგვთვალეთ!—ღრიალებს ხალხი.

— ჰა, ბატონო თუ რვაასი ხართ! ჰა, სია! წაიკითხეთ!..

ხალხი მიასკდა სიებს და დაუწყო ჩხრეკა.

— აქ სადაა მეშვიდე ნომერი? ბატონებო, სია დაუმალავთ! მეშვიდე ნომერი აკლია! აქ ლალატია, ღალატი!... ბევრიც ხელ-მოწერილთაა შემოსული... ღრიალდა ისევ ხალხი.

— ხელ-ახლა დავთვალოთ! ნუ ვგატყუებთ! აქ რვაასი ვართ, რვაასი, დარბაზი გაეტდილია ხალხით!... გაიძახის რიხით მეუჯირზედ შესკუპებული შავ-ჩოხა და შეაწვარა რაინდი; ცალი ხელი უკიდია ხმალზედ, მეორეში უკავია რგვალათ დახვეული ქაღალდები და ისე ამაყად დასცქერის ხალხს, რომ გაგონებს ნაპოლეონს აუსტერლიცის შემდეგ. სიმართლე გითხრათ, მიზეზიც აქვს, რომ იამაყოს...

— დავთვალოთ! დავთვალოთ! გავმართოთ ახალი ხელ-მოწერა! ბანს აძლევენ ხალხი და მისი ხელადები.

შეიქნა ჩოჩქოლი, ხალხის მიწევა-მოწევა, გაყვან-გამოყვანა და ახალს სიებზედ ხელის მოწერა, რამაც ჩანთქა კიდევ ერთი საათი. მაგრამ ამ დროს მიხდა რაღაც სასწაული: ერთი ნაწილი ხალხისა გავიდა გარეთ; თითქმის ორასამდე კაცმა არ მოაწერა სიებს ხელი, ჩავიდენ დაბოლ და გაიჭიდენ ტალანსა და ქუჩაში. ვინ არიან ესენი? ესენი გახლავან ეროკაჯანი. რათ ჩავიდნენ დაბლა? რათ გავიდენ ქუჩაში? რათ არ მოაწერეს ხელი? რათ არ გამოცხადდენ კრებაზედ ბევრი მათგანი? რა მიზეზია? ეს გახლავთ ბანკის გამგეობის საიდუმლო. ეს უნდა ვკითხოთ ბანკის დირექტორებს და მათ ერთგულ აგენტებს. ბოროტი ენანი რაღაც ბევრს რამებს ვაიძახიან; ამბობენ, ვითომ ბანკის გამგეობას სურდეს ისევ დარჩენა; ვითომ გამგეობა ეძებდეს კენჭებს და მომხრეებს; ამბობენ, ვითომ გამგეობას არ სურდეს ამ კრების მოხდენა, რადგან ბევრია აქ მისი წინააღმდეგი, ეშინიანთ გაშვებისა, სწადიანთ, სხვა და სხვა მოსაზრებით, კრების გადადება და სხ. და სხ.მე ეს არ მჯერა და ვერც დავიჯერებ, ვერ წარმომიდგენია, რომ ბანკის გამგეობამ მიმართოს ამ გვარ საშუალებას, მე არ ვაცნობ იმათ აგრე წყალ-წყალებულად. მწამს, რომ იმათ აქვსთ სინიდისი და თავ-მოყვარეობა... საუბედუროდ მათ ხელში დაზიანდა ჩვენი ბანკი და მივიდა დალუპის ხრამამდე, ამ ბანკმა ნახა ნახეკარ მილიონამდე ზარალი, ამ ბანკს და მასთან ერთად მის გამგეობას დაეკარგა ნდობა და პატივისცემა. ღღეს სადაც კი გაიხედავ, ყველა უკმაყოფილოა ბანკის წინანდელ საბჭოსი და გამგეობის, ბევრი ემუქრება კიდეც პასუხის გებაში მიცემას. ღღეს ყველას ეშინვდა აგზნება, აღელვება და გამწარება, და ამისთანა ძმიე დროს კიდევ იმაზედ ფიქრი, თუ რა რიგ შევირჩინო თბილი ალაგი, ვეძებ მეტის-მეტია. ეს არ შეეფერება რიგად მოღვაწეს და ღირსეულ ადამიანს და არც მჯერა თუ ამას ჩაიდენენ გამგეობის წევრნი. ის კი არა, კიდეც რომ გამოჩნდენ ზოგიერთნი და მოისურვონ ისევ ძველი გეგზეობის დატოვება, თითონ არ უნდა დათანხმდნენ და ცივი უარი უნდა განაცხადონ. ამ საქციელით ისინი ამაღლდებიან ხალხის თვალში. ეს ამბავი თუ ოთხოელობს თავმოყვარეობა და ადამიანობა.

— როცა ევროპის სახელმწიფოს რომელსაც პალატაში არ იწყნარებენ სამინისტროს ამა თუ იმ პროექტის, ან ხმის უმეტესობით უცანაღებენ უნდობლობას, იმ შემთხვევაში მთელი სამინისტრო გადადგება ხოლმე სამსახურიდგან და შეუდგებიან ახლის არჩევას. აქ კი თავიანთ უფიერობით და კანონის დაქვეითვით, (რომ მეტი არ ვთქვათ), ამ ბატონებმა მთელი ბანკი მიიყვანეს დალუპის კარამდე, 1600-ი წევრი ჩაყარეს ზარალსა და პასუხის გებაში ამ ქესატობის დროს; თითონ კი დაჰკარგეს ნდობა და პატივის ცემა; და ამის შემდეგ კიდევ იმის ფიქრი, თუ როგორ შევირჩინო ლმილი სავარძელიო, უფრის თავის შერცხვენას და დამცირებას. არა, ამას ნუ იქთ, ბატონებო! ეს არ გეკადრებათ!... ღღეს თქვენ მიერ დასსულეულს და მომაგდგ ბენეს თქვენ ვერ გასკენსავო! ღღეს ამ ბანკს ეკერვება სხვა ექიმები, საზოგადოების ხალხის ნდობით აღჭურვილები. ღღეს ამ ბანკის დაფუშულ ჩარხს შეაკეთებს და ააბრუნებს მხლოდ მხნე, პატიოსანი, მკოდენე, შრომელი და მტკიცე ხასიათის გამგეობა. ამიტომ დიდი სიფთხილე მართებთ წევრებს ახალ გამგეობის არჩევაში. აქ ძმობა-მეგობრობას და ნათელ-მირონობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ამ ძმიე დროს უნდა დავგმოთ შური და მტრობა, უნდა ავირჩიოთ პირადი მტერიც კი, თუ კი ვიცით, რომ იმას შეუძლიან ბანკის მოვლა და ფეხზედ დაყენება. ნუ აგჭარდებინ! ნუ გვინდა ინვალიდები! მოვიხმოთ დირექტორებთან და საბჭოს წევრებთან ჯანით სავსე, მხნე, შრომელი მკოდნე და პატიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲮᲔᲓ.

კარგია კახეთი შემოდგომაზედ! კარგია მისი გაჭიმული მწვანით შემოსილი ვენახები, კარგია მსმენიარე ვაზი, რომელიც დამწიფებული და დასაკრეფად მომზადებული! მცხოვრებთ ამ ფიერ თოთქმის ყოველი საქმე გათავებული აქვთ. ბური დაბინავებული და ბევრს დაფქულიც, სიმინდიც სახლში შეტანილი. ეს ერთად ერთი რთველი-ღა აქვს ჩასაკლები და სკდილობს, რაც შეიძლება, მხიარულათ მოიღოს ეს ნაკურთხი წლის სარჩო. რთველისთვის ეპატიჟებიან ერთმანერთს, ნათესავებს, მოყვრებს, მიდიან ერთმანერთში, აკეთებენ ხიღს, ჩამიჩს, თათარას, ჩურჩხელას, და სხვ. ერთის სიტყვით, რთველი საერთო მხიარულობაა ყველა—დიდი და პატარა ჰხარობს, ყველა—დედა, თუ მამა-კაცი მუშაობს. მაშინ ღამეც კი არ გაჩინათ. ზოგი ყურძენს ეზიდება, ზოგი სწურავს, ზოგი ქვევრებს ამზადებს, ღარებს უმარჯვებს, ეაკასა ჭარის-ბინიგებს ცა სხვ.

ყოველთვის ჯერ შინა-სოფლის ვენახებს მოიშორებენ ხოლმე, მერე ზერებს და ბოლოს ვენახებს. მაშინ უნდა ჰნახოთ, რა მხიარულობაა ბოლო ზეზეზე, რა ხმაურობაა! აჭრილდება სპპალინინი ურემი, გაისმის მეურმის საკნლის ჯავრობა, შოლტის ტყლაშა-ტყლაში და სასიამოვნო ურმელის სიმღერა. ეზიდებიან სოფლის ბოლოდან ყურძენს შინ დასაწურად; მორჩებიან დაწურას, გიმართება თათარაობა, დაიწყებს ქვევრები ჩუხჩუხს-დუღილს; დამაკრდება, ჭ მოუჯდება ბელი ბეგენი, გადაჭარმს ჯამი და შემოსძახებს კიდეც. ამ დროს რომ უცხომ დაინახოს, იტყვის: «განა ამისთანა ბეგნიერი კიდეე იქმება ვინმეო? მაგრამ ამა შემდეგ კიდეე შეიხედეთ და დაინახეთ იგივე ბლეი სბორჩიკს და კარაპეტ-არუთინს შუა მჯდომი, როგორ თავპირი ჩამოსტირის, დავიწყებია გუშინდელი სიმღერა და დაღონებულმა არ იცის, რომელ ერთს გაჩუდნოს მთელი წლის ოფლით მოყვანილი და ნამუშავარი.

უპირველეს ყოვლისა რთველის დაწყებამდე თავს დაუყრაეს ნათლიმამა არუთინა, ღიმილითი მიესალმება, თან ულვაშებში ჩაიცინებს და დაბინავდება მასთან. ეს არუთინა გახლავთ მისი მოგორავენე. ვენახი მიუცია ბირაოთ, მისი მოსავლის ნახევარი, ან რომელიმე უფრო მეტი ნწილი იმას ეკუთვნის და მისთვის მობრძანებული.

შემოდგომობით კახეთის სოფლების ბზეზზე მრავლად შეხვდებით ცხენზე მსხდომარე, დიდ სავ'ე ტიკებით ხურჯინ გადაკიდებულ სომხებს. ბევრი სომხი მინახავს, სიხარბისაგან იმოდენა ღვინო აუკიდნია ცხენისათვის, რომ საბრალო პირუტყვი ვეღარა ჰხდავს, თვით ჩამომხდარა და ქვეითი მიჩანჩალებს.

ერთმანეთის შეხვედრაზე ეს სოფლის ბურმელანი ანა მიესალმებინან ხოლმე ერთმანერთს: «გამარჯოს, არუთინ, საით გაგიწყვია?»—«ჰაი, გაგიმარჯოს ჩემო კარაპეტ, საით და ხომ იცი, მიეფიეარ მოგირავნებთან, ეგება თვალით დამანახვონ რამე, თორემ ის «რაზეონ-ეები» მშრალზე დამსმიმენ»... „ჰეე! ძმავ. ეხლანდელი გაკეთული ხეირი აღარ არის, აი მეც იქ მივეჩქარები, ეგება გამოვრჩე რასმეს. არა, ძმავ, ეხლანდელი ალება ძალისაა; წავიდა უწინდელი დრო, გაფუჭდა ხალხი, გამოიცვალა დროება»...

მერე იცით, ვინ არის ეს კაცი, რომ ასე ეწუწუნებინან ყასიდათ ერთმანეთს. ეს ის აღა გახლავთ, რომელიც ბლეხთან შეკრული პირობით, ვენახი დაუგირავებია, ამდენი სპპალინე მოგყიდე ამდენ ფასად და ყოველ წელს უნდა ვეზიდო ნახევარს შენის ვენახის მოსავლისას, ვიდრე, რამდენიც წინ და წინვე მიმყიდე არ შესრულდებაო. თანაც «კანონრახტში» ჩაუწერია, ვენახს უნდა მოუარო, მოიყვანო შეიფსწრებ 'ედროსკი უნდა შემატყობინო, ჩემ თვალ წინ დაჭკიროგ-დასწურო და მოსავლის ნახევარი მომცე. თუ ვინიცობაა არ მომეცი, ან ეს პირობები არ ასარულო, ჯარიმა გადიიხადო, რამდენი სპპალნეც მერგებოდა, იმდენი ნ, ან 10 თუმანი. აი ამ პირობებითა ჰყავს ჩაბღუჯული საწყალი ბლეი და ეს უკანასკნელიც ძალი უნებურად უნდა დაჰმორჩილდეს, თორემ უჩივლებს და ერთი ორად და ხუთად გადაახდევინებს მარტო ჯარიმას.

თანაც ნათლიმამათ გაუხდება და ნელნელა სწუწნის მის ოჯახს. იშვიათი ოჯახი იქნება, სადაც ასეთი წურბელი არ გაჩნდეს შემოდგომაზედ. მივლენ, ჯერ ყურძნათ წიდებენ—ეს ხილათაო; მერე მაჭარს ტიკპორებით—ეს ახალ ღვინოთაო. ეს არაფერი, არაფერში არ იბრის და მერე ვალში სხვას იწყამს. მართალია ასეა, ბლეი კაცის წვითა და დაგვით მოყვანილ მოსავლის, თუ ნახევარს არა, ნასამედ მაინც ვალში წყიდებენ, მაგრამ მაინც გულს არ იტეხს. დეე, მოუვიდეს რამე და მოვალემაც იერგოს, თუმცა ამით მისი ოჯახი ვერა მაგრდება, მაინც ამ დარდს დიდი ხანი არ იყენებს გულში ნამტანაგად მაშინ, როცა ქვევრებში ღვინო უდგია და ღვინო ხომ ავიწყვებს კაცს ყოველსაეე დარდს და მალე ამხიარულებს.

კახეთის ყველა სოფლებში, რაკი ღვინო დამაკრდა, დაიწყო დროს გატარება, წვეულება, „კამპანიები“ და საღილები. უპირველეს ყოვლისა მიცვალებულები მოსანი კაცი. ნუ გვაშინებს სიკბაბუკე! მარტო ქალარა წვენი არ ამტკიცებს არავითარ უპირატესობას! ევროპაში მინისტრებათ ჰხდიან ახალგაზდებს; ნუ თუ მათ ვერ ვანდობთ ჩვენ პატარა ბანკს! მაშ კარგად ჩაუკვირდეთ საქმეს და ისე ვიმოქმედოთ. კიდეე გვაქვს დრო.

რა დაამტკიცა კრებაზედ ახალმა ხელმოწერამ? ის, რომ არ შესდგა კანონერი რიცხვი, ვერ მოხდა კრება და მით მიაღწიეს საწადელს იმათ, ვისაც ეს სურდა კრება გადიდო 19 ამ თვისათვის. ამ ამბავმა გაბრაზა ხალხი და ადგა კიდეე ეარეული ამბოხი და განხეთქილება. გაისმა დარბაზში მუქარა და ასე გასინჯე, ავლაბრული გინებაც კი, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა ამერეთში; სრანს ხალხის გამწარება და გაცხარება მისული ზუზნაეს წერტილამდე. ხალხი დაიშალა ყვირილით, ლანძღვით და მუქარით.

აქეე უნდა შეენიშნო ერთი რამ პატივცემულ წევრებს: ლანძღვა-გინებით და მუქარით ვერაფერს გავაიოგებთ. ამგვარი საქციელი არ ვეეკადრება და არ შეეფერება. ეს ამცირებს ღირსებას. ნუ ავლღლებით და ნუ გავცხარდებით, ამით ვერაფერს გავაწყობთ. პატივი ვცეთ იმ მოხუცთა ქალარას, რომელიც ვეემსახურენ ოცი და ოცდა ოთხი წელიწადი ბანკის დაარსებიდან. ეიყვეთ დინჯათ, ფხიზელი გონებით განვიხილოთ ყოველეეე, გამოვარკვიოთ საქმე, გავიგოთ ნამდვილი მიზეზი ამ მარცხისა ამ დიდი ზარალისა, შეეიტყოთ კარგათ, ვინ დაღუპა ეს ჩვენი ბანკი. იქნება ამ კაცებს, რომელთაც ბრალსა ვდებთ, სრულებით არ მიუძღვიეთ საზოგადოების წინაშე იმოდენა დანაშაული, იქნება ესენი არიან სხვისადმი მინდობის და სხვისი დაჯერების მსხვერპლნი. იქნება მთავარი დამნაშავე სულ სხვაა, ბანკის გარეთ და ამიტომ კანონის ძალით ხელ-შეუხებელი. გავიგოთ ყველაფერი კარგათ ყვირილით, კიეინით და ლანძღვით ჩვენ საქმეს ვერ გამოვარკვევთ, უფრო შეეირცხვენთ თავს. საჭიროა მოხდეს კერძო კრებანი და იქ მოვისაზროთ ყოველეეე, (ამგვარი კრება მოხდა კიდეც წინათ ორ-სამჯერ); საჭიროა შეეადგინოთ გეგმა და ავიჩიოთ ჩვენს შორის კრებაზედ მოლაპარაკენი, რომ დაარსდეს წესიერება მომავალ საზოგადო კრებაზედ და უფრო ნათლათ გამოირკვეს საქმე. ვიყვეთ სულგრძელნი და ღირსეულათ შეეხვდეთ ჩვენს თავზედ დატეხილ მარცხსა და უბედურებას, საჭიროა შეეკრბეთ 19 ამ თვეს კრებაზედ რაც შეიძლება მეტი წევრები.

მაგრამ შეგრავდება კი მეორეთ ამოდენა ხალხი? ჩამოვლენ კი წევრები საშობოთ ასსა და ორას ვერსის მანძილიდგან? გასწევენ ხარჯს ამ საშინელს ქესტობაში? აი ის კითხეები, რომელნიც აფიქრებენ და აღონებენ ბანკის კეთილს მოსურნენთ, მაგრამ პირიქით ისინი ახარებენ ამ ვაეტაკონთ, რომელთაც განგებ არ მოახდინეს პირველი კრება... ეს მეტად დამფიქრებელი და სამწუხარო მოვლენაა ჩვენს დახავსებულ დროში. სრანს, ეს ერთი ეპიზოდია იმ მოვლენათა შორის, რაც ხშირათ ხდება ჩვენს ზნედაცემულ და გათახსირებულ ქვეყანაში. საეალოოთ ჩვენში არ არსებობს ფხიზელი, ზნე-ფაქიზი და კრიტიკით აღჭურვილი საზოგადოება; ჩვენში მეტად იშვიათია გამბედავი, პირად მოქმედი, უანგარო და უზომოთ პატიოსანი მოღვაწე, იმგვარი მოღვაწე, რომელიც საზოგადო ინტერესს აყენებდეს ყველაზედ უფრო მაღლა, რომელიც გულმხურვალეთ მსახურებდეს ქვეყნის საქმეს, რომელიც მედგრათ და გულადათ ებრძოდეს ბოროტებას და ქომაგობდეს სიმართლეს. და თუ, ვინიცობაა, აღმოჩნდა ამისთანა, მას წვდებიან ყელში—ნასწავლი, თუ უმეცარი და ცდილობენ მის გასრესას და მოსპობას. ამის მაგალითი არა ერთი და ორია ჩვენს წამხდარს ცხოვრებაში. და სადაც ხალხი რეგვენია და საზოგადოება უსუსური, ორივე ერთად კი საბრალო მონა, სადაც თვალთმაქცებს და აფერისტებს ეგებებიან ვაშას ძახილით, უშლიან ფიანდაზს, ნათლავენ ბილრებად და ადგმენ დაფნის ვვირგვინებს, სადაც ქეშმარიტ მოღვაწეს ჭგმობენ, ჭკირდვენ და აცვამენ ჯვარზედ, სადაც გამეფებულა მონური სული და გალიღებული ცხოვრება, თავხედობა და უმეცრება,—იქ ნუ გიკვირთ, თუ ცხოვრება მიდუნებული, ბრესსა და მწერლობა დაკნინებული, გაღატაკებული ხალხი და დაცემული ვაჭრობა, მრეწველობა და მეთჯახობა. აი რა სურათებს ვმზერთ ჩვენს წამებულს საქართველოში!...

მაგრამ ოოდემდე, როდემდე უნდა ვიყოთ ასე სულით და ხორცით საპყარნი! როდის გავახლოთ თვალი? როდის ვცნოთ კეთილი და ვგმოთ ბოროტი? როდის დავემგზავსოთ ნამდვილს ადამიანს? როდის? ამას წინეთ აშორდიზმი და დეპუტატთა საკრებულოს სკანდალი, მას შემდეგ სათავად-აზნაურო ბანკის აპეკაში ჩაგდება, გუშინ წინ შავი ქვის რაინდთა გმირობანი, მილიონ მანეთის დაფლანგვა და მუშა-მრეწველთა დალუშვა, გუშინ წყალ-საყვან საზოგადოების გაკოტრება და ქუთაისის ეიფეელის გაქცევა, დღეს კი საურთიერთო ნდობის ბანკის საშინელი მარცხი და და თითქმის დაღუბვა. ვინ იცის, კიდეე რა ახალი რისხვა მოგველის ხვალ, ზეგ და მაზეგ!... ვინ არის ამის თავდები! ბატონებო, როდემდე უნდა ვითმინოთ ეს წვრილ-წვრილი პანამა?! ბატონებო, როდემდე უნდა ვაღიდოთ ჩვენი თავზედი პანამისტები?! როდემდე უნდა ჭქომაგობდნენ ჭ მალავდნენ მათ სამარცხვინო ჭ ქვეყნის დამღუპველ ოინებს ჩვენი ზოგიერთი გაზეთები?! როდემდე უნდა ინაგარდონ ასე თამამათ ამ ალვარ ახსნილმა ვაეტაკონებმა?! როდემდე უნდა თელებოდეს მათ ფლოქვების ქვეშ ნეკნი ხალხი და საზოგადოება?! ერთი მიბრძანეთ, როდემდე?!..

ნუ თუ არაა ჩვენში ფხიზელი და მოქმედი ახალგაზდობა?! ნუ თუ არაა ჩვენში ქეშმარიტი ინტელიგენტია?! მაშ ტყვია ატარებენ ეს ჩვენი დიპლომიანები ინტელიგენტის წმინდა სახელს? ნუ თუ არაა ჩვენში პირუთვნელი და გამბედავი პრესსა?! ნუ თუ არ არსებობს საზოგადოებაში ფხიზელი კრიტიკა?! სადაა ჩვენში საზოგადოებრივი სვიდნდიანი და ფაქიზი ზნეობა?! სადაა სითამამე და მოქალაქობრივი გამბედაობა?! სადაა ბოროტის წინააღმდეგ ბრძოლა და სიმართლე? ქეშმარიტებისადმი ერთგული სამსახური?! ნუ თუ ყოველივე ეს უბრალო, უმნიშვნელო სიტყვაა მხოლოდ გაშლილ სუფრაზედ სახმარებელი?! ნუ თუ ყველა შეუპყრივართ შიშს და ადგილის დაკარგვის ფიქრს?! ნუ თუ ნათელ-მირონნა და მეგობარ-ნათესაობა უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ, ვიდრე საზოგადო საქმე, ვიდრე მთელი ქვეყანა?! ნუ თუ ყველა მონა ვართ, მონა ლაჩარი, საზიზღარი?! არა, ეს არ მჯერა! ეს შეუძლებელია!...

აზრი და მიმართულება, საქმე სულ სხვა რიგად დატრიალდა: ბლეხებმა თითონვე აღიარეს თავიანთი შეცდომა. რამდენადაც მცხოვრებლები გადასახლებულს შეურიგდნენ და დაუახლოვდნენ, იმდენად უფლებებით აღჭურვილმა მოხელეებმა თავისა და გადმოსახლებულთა შორის ურთიერთობა უფრო გაამწვავეს. ისინი ბლეხებს გადმოსახლებულებთან ლაპარაკსაც კი უშლიან და დედაკაცებს არწმუნებენ, «სტუდენტები» ენას მოგჭრიანო. ერთმა პოლიციის მოხელემ 6 წლის ვაეს «სტუდენტთან» სასწავლებლად სიარული აუკრძალა. «სტუდენტები« ბლეხებს ნებადართულ სახლხო წეგნებს წასაკითხად ურიგებდნენ, მაგრამ პოლიციამ ესეც აუკრძალა. ადგილობრივ სკოლის ერთ მასწავლებელს «სტუდენტთან» ნაცნობობა ჰქონდა და აი, ამისათვის, მთავრობისაგან გაფრთხილება მიიღო. დანარჩენ ადგილებში, მაგალითად კემსის მაზრაში უფლებით აღჭურვილნი თავის მოვალეობას გადამეტებულის ენერგიით ასრულებენ. პოლიციელებს ოქმის შედგენა და «პოლიტიკის» გაძლიერება უმთავრეს და უმნიშვნელოვან საქმედ მიაჩნიათ. კემში რამდენიმე ისეთი ოქმი შეადგინეს, რომელნიც საოლქო სასამართლომ უნდა გაარჩიოს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგაზეთოსაგან).

დილის დეპეშები.

11 დეკემბერი.

ტოკიო, 11 დეკემბერი (რეიტერი). ტოკო იუწყება, რომ იაპონიის ფლოტის უდიდესი ნაწილი წავიდა პოტარ-არტურიდგან.

ტოკიო, 11 დეკემბერი (რეიტერი). მიკადომ გამოსცა ბრძანება ტოგოს სახელზედ, რომელშიაც სიამოვნებას აცხადებს იმის გამო, რომ იაპონიის ნაღმიან გემების ფლოტი�კარგად შეასრულეს პორტ-არტურთან თავისი მინდობილება, და მადლობას უცხადებს მეზღვაურებს მამაცობისათვის.

ლონდონი, 11 დეკემბერი (რეიტერი). იაპონიის მხსნის ცნობით, პორტ-არტურის საალყო არმია იუწყება, რომ მარკვენა არმიის რაზმმა დაიპირა გორა ხოიან'შუკოს დასავლეთით. რუსებმა მედგარი იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. იაპონელები უეჭველად დაიჭერენ პოზიციას. ეს გორა მდებარეობს 203 მეტრიან გორის სამხრეთით, 1½ მილის მანძილზე.

ვაშინგტონი, 10 დეკემბერი (რეიტერი). გამოქვეყნებულია სახელმწიფო მდივნის გეის ნოტის ტექსტი, რომელშიაც აუწყებენ ამ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს ჰააგის კონფერენციას, ჰააგის მეორე სამშვიდობო კონფერენციაზედ მიწვევას მეგობრულად მიეგებნენო. ნოტაში მითთავსებულია შინაარსი ცალკე სახელმწიფოებისაგან მიღებულ პასუხისა, სხვათა შორის, რუსის მთავრობის წინადადებაც იმის შესახებ, რომ კონფერენციის მიწვევა ომის დასრულებამდის გადდებულ იქმნას; მოყვანილია იაპონიის პასუხიც: იაპონია თანხმობას აცხადებს მიწვევაზედ, მხოლოდ იმ პირობით, რომ კონფერენცია არ შეეხოს სამშვიდობო პირობებს რუსეთ-იაპონიის შორის.

12 დეკემბერი.

პეტერბუნგი. ნიკოლაევიდან, ჩისტოპოლიდან, ჩერნოგოროდიდან, ეოტომორიდან, ბერდიანსკიდან და სევასტოპოლიდგან იუწყებიან, რომ მობილიზაციამ სამაგალითო წესიერებით ჩაიარა.

ᲛᲝᲣᲙᲓᲔᲜ, 11 დეკემბერი (საკუთ. კორ.). პრინცს ხაიმე ბურბონელს თავის დამ პაპის პიო X-ს ლოცვა-კურთხევა მოუტანა. პრინცესასთან ბაასის დროს პაპმა გამოსთქვა გულითადი სურვილი, რომ დროზედ მოსპობილიყოს ეს ეუსაშინელესი სისხლის ღვრა.

პოზიციებზე-სიწყნარეა. ჩვენს მოხალისეთ ყოველ დღე კვლავ მოჰყავთ ტყვედ ყინვისაგან შეწუხებული იაპონელები.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის ეურნალ-გაზეთებისაგან გამართული ნაციონალური ხელისმოწერა რუსის დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ დაიხარა. ჯამი შესდგა თითქმის 6½ მილიონ ფრანკამდე.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ, 11 დეკემბერი. ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას შეერთებულ შტატებისა და ესპანეის შორის სამედიატორო წესით საქმის განხილვის შესახებ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 დეკემბერი. დრეიფუსის საქმეს აპრილამდის ვერ გადასცემენ საკასაციო სასამართლოს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 დეკემბერი. ბულონიდან წამოსული მატარებელი დაეჯახა ჩრდილოეთის ბაზაზე ლილს მიმავალ მატარებელს. ლილის მატარებლის უკანასკნელი ვაგონები დამსხვრეულია. მოკლულია 8 კაცი და დაჭრილია—30.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 დეკემბერი. პორტამ გამოუცხადა ავსტრო-უნგრეთის ელჩს, სულთანი თანხმაა მაკედონიაში მხოლოდ რუსეთისა და ავსტრიის ოფიცერთა რიცხვს მოუმატოსო. ბარონმა კალიცემ უპასუხა ყველა სახელმწიფოები თანახმად მოქმედებენ და ამიტომ პირობით შეკრული სახელმწიფოები იძულებულნი არიან უარ-ჰყონ პორტის პასუხიო.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 11 დეკემბერი. დღისით ორ საათზე ნავთის ფირმის «სიღერიდეს» კანმაშ შევერთდეთ,ვისაც კი შეგვრჩენია კაცის ნასახი! შევერთდეთ ვისაც კი გვაქვს გამბედაობა ჭ მართლმოყვარობა მივცეთ ერთმანეთს ხელი, სამოქმედოთ და საერთო ძალით მედგრათ შევებრძოლოთ ჩვენში ძირ-გართხმულს და გალაღებულს ბოროტებას! დროა ავხადოთ ნიღაბი ოინებზეს და ცრუ მოღვაწეებს! დროა დავანახოთ ქვეყანას მათი საქმე და გმირობანი! დროა ვუშოდოთ ყველაფერს თავის შესაფერი სახელი! აქ, ბატონებო, მთელი ჯაშუშეა, მთელი დასია ბაღდათის წვინდანებათ მოვლენილნი! ესენი კაი ხანია დაბატრონებიან ჩვენს ზოგიერთს საზოგადო საქმეებს და მადიანათ მიირთმევენ გემრიელ ღვეყელს. ამათ ყავთ მთელი გაწყფული ბრბო გაქნილ ავაზაკთა. ამ ჯგუფში შემთხვევით ჩარეულია თითო-ოროლა პატიოსანი კაცი და შექნილან სხვების მანქანათ და ტიკინებათ. საჭიროა გამოირკვეს ყოველივე. ეს საშინელი მარცხი, ეს ბანკის დაღუბვა არ იყო მოულოდნელი რამ; ეს გახლდათ სრულიათ ლოგიკური შედეგი იმ რაინდთა მოქმედებისა. ამ «კოახს» მოველოდი ჯერ ისევ 3—4 წლის წინათ და კიდეც გამოვთქვი ჩემი აზრი სიტყვით და მწერლობით, დღეს ეს სახელოვანი ჯგუფი მისული სრულს ზნეობრივ გაკოტრებამდე. დღეს ეხდებათ ნიღაბი ამ ცრუ წვინდანებს და აშკარადება ქვეყანის წინაშე მათი მცარცველი სახე.

მაშ, გამოვარკვიოთ ნათლათ და საფუძვლიანათ ყოველივე ამ უბედურ ბანკის საქმეებით! ფოთა წარავდგინოთ ნიღაბ ახდილი და შებორკილებული ავაზაკნი ხალხის, საზოგადოების და შთამომავლობის სასტიკს და ულმობელ სამსჯავროს წინაშე...

სიმონ ქვარიანი.

ქუთაისი 7 დეკემბერს.

ტორის მოხელემ 6000 მან. მიიღო და ქარხანაში მუშებისათვის დასარიგებლად წაიღო, შეაგულ ქალაქში იმას სამი შეიარაღებული კაცი დაეცა, სტაცეს ხელი ფულის პარკს და გაქრნენ. ეს ამბავი სულ რაღაც ორ წამში მოხდა.

ათინა, 11 დეკემბერი, კაიინელუ სამსახურიდან გადადგა.

ზარაპსკი. მობილიზაცია სრულის წესიერებით დასრულდა. შეგროვეს ჯარის კაცთა საქიროებისათვის 200 მან.

არიოლი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ თანხმად იმ სიისა, რომელიც 25 მუხლს სამხედრო ბეგარისას აქვს ჩართული, სათადარიგოდ ჩარიცხული ჯარის კაცებს არ გაიყვანენენ, თუ მსახურენენ პოლიციაში და ცეცხლის მქრობელ რაზმებში ქალაქის ხარჯზე. კერძო ცეცხლის მქრობელ საზოგადოებათა რაზმში მსახურთ კი წაიყვანენენ.

რიაზანი. გუბერნიის ერობის კრებამ შორეულ აღმოსავლეთში ავადმყოფ და დაჭრილ მხედართათვის გადასდო 50 ათასი მან.

ტოკიო. (რეიტერი). იაპონიის ბატარეების ყუმბარები სწვდებიან ეხლა «სევასტოპოლს». ერთი კიდეც მოხვდა. ფიქრობენ, რომ გემი მალე სულ აღარ ივარგებს სბრძოლველადაო. იაპონიის ლაშქარმა, პორტ-არტურს გარშე მდგომმა, გუშინ აიღო ტალუქიატუნი. იეწყებინან, ოფიციალურად, რომ რუსების ყველა მოწინავე პოზიციები, რომელიც იაპონიის მარჯვენა ფრთისკენ იყო, იაპონელებმა აიღესო.

სოფია. საერო კრებაში ლაპარაკი იყო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. შემოსავალი და გასავალი ნაინგარიშევია 111 მილიონი ფრანკი. ოპოზიცია წინააღმდეგია ხარჯების მომატებისა, განსაკუთრებით მეტად მიაჩნიათ ხარჯები ფლოტისა და დიპლომატიურ საგენერალოებისათვის ბერლინს, პარიზსა, ვენასა და რომში.

იურიევი. უნივერსიტეტმა იდღესასწაულა 102 წლის თავი თავის დაარსებისა.

ჩერნიგოვი. საგუბერნიო კრება არ შესდგა, რადგან საკმარ რიცხვი ხმოსანთა არ გამოცხადდა. კრება ოფიციალურად დაიხურება.

საღამოს დეპეშები

13 დეკემბერი.

ჩერნიგოვი. გაიგზავნა სათადარიგო ჯარები. პარაკლისის შემდეგ ქალაქი გაუმასპინძლდა ჯარებს და დაურიგა საჭურები.

ვიტებგრა. სრულის წესიერებით მიღის საომარ ფეზზედ დაყენება ჯარებისა. დღეს წავიდა პირველი ნაწილი საღამოდ. ქალაქი გაუმასპინძლდა.

ხოტინი. საომარ ფეზზედ დაყენება ჯარებისა დასრულდა.

ჩიფუ, 12 დეკ. (რეიტ.). პორტ-არტურის მიდამოებიდგან მოსული მაგრიე იუწყება, რომ 2—7 დეკემბრამდე მრავალი ჯარი იქმნა იაპონელთა გადასხმული იურიატუნსა და ტრედის ყურესთან. ჯარებმა იერიში მიიტანეს ერლუშანსა, იცუშანსა და სხვა სიმაგრეებზედ. 200 ზარბაზანი დაუშინეს, მათ შორის 20 საზღვაო, 4 დიდი ციხის სანგრევი. იერიშით მოსულნი იაპონელნი გასწყვეტა რუსთა ტყვის მფარველელის სრო�mა. ამის შემდეგ იაპონელებმა საზოგადო იერიში მიიტანეს, იცუშანის სიმაგრეზედ და მიადგნენ მავთულის ღობეს, მაგრამ რუსებმა მრავალად ამოსწყვიტეს იაპონელნი. თავგანწირულებით ეცნენ მავთულის ღობეს, მაგრამ 800 კაცი დაკარგეს. მოკლულთა შორის ბევრია ოფიცერები. დამარცხებულნი იაპონელნი ნელ-ნელა უკუ-იქცნენ. ამბობენ, რომ ერთმა არიერგარდის ოფიცერმა უბრძანა თავის რაზმს ესროლეთ და დაეხოცეთ ლტოლვილნი. მეორე დღეს დაიწყო მეორედ საერთოდ მისვლა იერიშითა. იაპონელებმა ახლა კი მოახერხეს და გასცდნენ მავთულის ღობეს. გაიარეს გუშინდელ განგრეული ადგილებზე და მივიდნენ თხრილის ნაპირად და აქ დაუშინეს რუსებმა იაპონელებს თოფები. იაპონელებმა იერიშით აიღეს თხრილი. მოჰხდა ხანგრძლივი გააფთრებით ბრძოლა ხიშტებითა, იაპონელებს სხვა ჯარები მოეშველა, მაგრამ რუსნი ჯგუფ-ჯგუფად ჭხიცავდნენ იაპონელებს. ვინც გადარჩნენ, იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ.

პეტერგბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, აღნიშნული 12 დეკემბრის 1904 წლის თარიღით: 11 დეკემბერს დამე ცნობანი ბრძოლისა არ მიგვიდია. ყინვა 13 გრადუსამდე ადის. ამის უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებისს უდიდებულესობასს. —12 დეკემბერს ჯარის შეტაკების შესახებ ცნობა არ მიგვიდია. 10 დეკემბერს თავგამოდებულებმა, რომელნიც გაგზავნილ იყვნენ ჩუანტანის სამხრეთად, უკან დაუხვევნეს იაპონიის სადარაჯოებს და დასწვეს ორი სოფელი ცხენების საკვებით, სურსათითა და პატრონებით. ამის უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმიერატორებისს უდიდებულესობას.

სინგაპური, 13 დეკემბერი (რეიტერი). ურიის ესკადრას, რომელიც შესდგება მრავალის ნადმოსნებისა და კონტრ ნადმოსნებისაგან, მთავარი ბინა დიდებული აქვს კუნძულ ფორმოზაზე, ამ ესკადრის დანიშნულებაა კუნძულ იავის წყლებში მოსძებნოს ნახშირით დატვირთული რუსთა გემები. ჩინეთიდან მოვიდა საოსტროგემოთ რამდენიმე კაცი, რომელთაც აბრად აქვთ დიიქრაიოთ გემი და რუსის ესკადრას აცნობოს, რომ ნახშირით დასატვირთავ გემების დანიშნულება შესცვალოს ეს კაცები ახლა პოლიციის მხედველობის ქვეშ არიან.

სამარა. ბოქაულის თანაშემწემ კორონატკევიჩმა დაიჭირა სამი გათქმული ქურდი ავაზაკი. სანგუში, ბრუტიანი და ბოგაშევი. როცა ხადგომი კარჩრიკეს, იშოვნეს მრავალი ძვირფასი ნივთი, სამარაში მოპარული; იშოვნეს აგრედვე ხატების სამკაული; სულ 5000 მ. ღირებული. კორონატკევიჩმა შეიპყრო აგრედვე ქურდი ჩუბა და მისი საცვარელი ბიოკოვის ქალი. დაატუსაღეს ნაქურდალის დამფარავი ვასო შაველა იშოვნეს სამარაში მოპარული მრავალი ძვირფასი ბეწვეულობა.

მოსკოვი. უნივერსიტეტის რექტორი გამოაცხადა, რომ სამოსწავლო ოღქის მზრუნველის განკარგულებით უნივერსიტეტი დაიკეტა მომავალ სამოსწავლო ნახევარ წლის დასაწყისამდე.

დროებით რედაქტორი **ბრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

ბამოსადეგი ცნობანი:

პეტერგბურგის ბირჟა
7 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიეში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,35
ბერლინში „	46,30
პარიეში „	37,50
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამეული ბანკისა	89½ ნ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მოგბ. ბილ. 1864 წ.	425 ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	318 ნ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	266½ ნ. გაყ.
5% იპლეიგაციები ტფილ. საკოფიტა სოზოგ.	—
4½% იპლეიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	90½ ნ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	87⅛ ნ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა ამ წლის 15 ოკტომრიდან.

(ფრწხილებს კარგად ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრწხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიღის:

ბაქმლ: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საჭინლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.) საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილია 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ავტორთა საყურადღებოდ

ამ წლის ივნისის 7-ს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «ხსნაი», რომელსაც საგნად აქვს ჭეშმარიტ ქართული სახლისა და საშემწეოდო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ამაორმაეს დრეებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დავალდეს მოამზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგნი დარგის ორგანისდური და ნაკარგნი თხზულებანი: საქმია, სამეურნეო, ისტორიული და ბიოდეტიკურ-ეკონომიური.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბატონ ავტორებს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასაშინაურებლად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად ეცნობოს მას წერილით: რა პირობებით სურთ დაეთმონ ამხანაგობის თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოებთან გამოაგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, ეზაშიდოვის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოლაშვილს. (ქ. ტფილისი, გოდოგანის ბრანჩ. № 12).

სარედაქციო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ხ. ლდოტი, ს. გორგაძე, ალ. სოლოლაშვილი.

ბოლითბოვთ ყველაზე ნამდვილი „ოდეკოლონი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აკმარებს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საოფთიაკო საქონლის კიბეასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0 5—16)

ინიშნება და საშობაოდ დაურიგდებათ მეორე ბრეიმიათ „ივერიისა“ „ღვთიმა“ (Воскресенье), რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოიისა, იმ ხელის-მოსაწერთ, რომელთაც 1 თებერვლამდე შეუერიტანეს თითო თუმანი.

საყმაწვილო ნახატებიანი ყურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ყურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

«ჯეჯილში» მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ დღნის ძიებას ხმარობს ყურნალის გასაუმჯობესებლად.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს ბრეგმიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაები.

ყურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოღქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ყურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул, д. Груз. Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთელი.

(3—შ—2)

ახალი საყმაწვილო ყურნალი

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“

ს უ რ ა თ ე ბ ი თ

გამოიცემა მცირე წლოვანთ და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ყურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან., ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანონ. ფასი ოითო ნომრისა: მოზრდილთა ყურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიან ივანეს ასულის დემეურისი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ყურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала «НАКАДУЛИ».

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

ლ ა ლ ა ტ ი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა **ორ აბაზად**, აგრედვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული მორეულ ადამსავლეთის დაფარდებული

ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 Г.

на большую ежедневную съ полной программой, выходящую въ Баку, газету

„БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ“

(ЧЕТВЕРТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ).

ВЪ ГАЗЕТѢ ОБѢЩАЛИ УЧАСТІЕ:

С. Ф. А-фъ, Н. П. Ашешовъ, Е. З. Барановъ, П. А. Берлинъ, В. Богучарскій (В. Я. Яковлевъ) Mr. Broun, Б. К. Бухъ, Х. С. Варданянъ, П. А. Васильевъ, Д. Недребисели, (Д. К. Маліева), Ю. А. Веселовскій, В. С. Вейншалъ, К. Вонновъ, Вѣди-Азъ, Горичъ, М. М. Гутманъ, В. А. Евангулова, В. И. Ивинскій, (Б. Борскій), А. С. Изгоевъ, М. В. Кечедзки-Шаповаловъ, Н. П. Козеренко, А. Н. Котельниковъ, М. Меликъ-Шахназаровъ, Мечтатель (Ѳ. Ѳ. Трозинеръ), А. И. Новиковъ, Н. А. Падаринъ, А. Б. Петрищевъ, Конст. М. Пономаревъ, Н. С. Семеновъ, С. С. Семеновъ, Орестъ Семинъ, А. С. Скляръ, М. А. Славинскій, М. Ф. Славинская, д-ръ Л. Соколовскій, Ю. Стекловъ, В. Ѳ. Тотомянцъ, А. Ю. Финнъ, Б. І. Харитонъ, Г. И. Шрейдеръ, И. И. Шрейдеръ, Эненъ, Эхо и др.

Газета имѣетъ собственныхъ кореспондентовъ въ крупныхъ городахъ Кавказскаго края, а также въ С.-Петербургѣ, Москвѣ и заграницей.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	Для городскихъ подписчиковъ	Для Чер. гор., Баилова, Балахан. и иногород. подписчиковъ
На годъ	7 р. — к.	8 р. 50 к.
На 6 мѣсяцевъ	4 „ — „	5 „ — „
На 3 мѣсяца	2 „ 50 „	3 „ — „
На 1 мѣсяцъ	1 „ — „	1 „ 50 „

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.

	Для городск.	Для иногород.
При подпискѣ	3 р.	3 р. 50 к.
Къ 1 апрѣля	2 „	3 „ — „
Къ 1 іюля	2 „	2 „ — „

Годовые подписчики на 1905 г., внесшіе при подпискѣ полностью всю подписную сумму, получаютъ въ 1904 г. газету, со дня подписки БЕЗПЛАТНО.

(3—ш—3). Редакторъ-издатель *Н. А. Гриневъ.*

Дозволено цензурою Тифлисъ, 13 декабря, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи